საქართველოს ეროვნული იდენტობისა და ეთნოისტორიული მეხსიერების საკითხი

ნინო გომართელი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
სტუ-ს პროფესორი
თამარ ხოხობაშვილი
სტუ-ს პროფესორი

რეზიუმე

დასავლური ორიენტაცია და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებთან ინტეგრაცია არის ძირითადი საგარეო პოლიტიკური მიმართულება და ქვეყნის სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების მთავარი გარანტი. დღეს, როდესაც უკვე შექმნილია და განმტკიცებულია ქართული სახელმწიფო, ქვეყნის წინაშე დგას ახალი ისტორიული ამოცანა: საქართველომ უნდა დაიმკვიდროს თავისი საკუთარი ღირსეული ადგილი მსოფლიოს ქვეყანათა თანამეგობრობაში, განვითარებულ მსოფლიოსთან კულტურული თანამშრომლობისა და ეფექტური ინტეგრაციის გზით და ეროვნულ ნიადაგზე დაყრდნობით დაამკვიდროს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები. თანამედროვე მსოფლიოში, გლობალიზაციისა და ტრანსნაციონალიზმის პირობებში მრავალი ქვეყანა განიცდის ეროვნული იდენტობის კრიზისს. პოსტსოციალისტურ ქვეყნებში აღნიშნულ გარემოებებს ემატება მძიმე მემკვიდრეობა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური ფორმაციის და ინსტიტუტების ტრანსფორმაციის სირთულეები და ა.შ.

საკვანძო სიტყვები: ეროვნული იდენტობა, კულტურული თვითმყოფადობა, დიასპორა, სათვისტომო, ეროვნული თვითშეგნება, ტრადიციების ერთგულება

THE ISSUE OF GEORGIAN NATIONAL IDENTITY AND ETHNOHISTORICAL MEMORY

Nino Gomarteli
Doctor of Historical Sciences,
Professor of GTU
Tamar Khokhobashvili
Professor of GTU

RESUME

Western orientation and integration with Euro-Atlantic structures are the main foreign policy direction and the main guarantor of the country's sovereignty and security. Today, when the Georgian state has already been created and strengthened, the country faces a new historical task: Georgia must establish its own worthy place in the world community of countries, through cultural cooperation and effective integration with the developed world, and based on national soil, establish universal human values. In the modern world, under the conditions of globalization and transnationalism, many countries are experiencing a crisis of national identity. In post-socialist countries, the above circumstances are compounded by the heavy legacy of socio-economic, political formations and institutional transformations, etc.

Keywords: national identity, cultural identity, diaspora, community, national self-awareness, loyalty to traditions

* * * *

საქართველო იყო და არის ერთიანი ევროპული ქრისტიანული ცივი- ლიზაციის განუყოფელი ნაწილი. ქართველ ერს ევროპასთან ქრისტიანობა აკავშირებდა, სწორედ ქრისტიანობის წიაღში მოხდა ევროპული იდეების ხორცშესხმა რომელთა შორის უპირველესია დემოკრატიული ღირებულებები, რომელიც ყველაზე დიდ ქრისტიანულ იდეას, თავისუფლების მარადიულ იდეას უკავშირდება.

ეროვნული იდენტობისა და ისტორიული მეხსიერების მიმართ მზარდი ინტერესი განაპირობებს ხაზი გავუსვათ ამ საკითხთა უდიდეს მნიშვნელობას და მისი შესწავლის აუცილებლობას. იდენტობა რთული კონსტრუქტია, რომელიც ყალიბდება სოციალიზაციის პროცესში, რის დროსაც ინდივიდი იღებს იმ საზოგადოებისათვის მისაღებ ნორმებს და ღირებულებებს, რომელშიც ცხოვრობს. დროთა განმავლობაში ხდება ამ ნორმების გათავისება და იდენტობის განუყოფელ ნაწილად ჩამოყალიბება. შესაბამისად, იდენტობის ფორმირებაზე სოციალიზაცია უდიდესი გავლენა გააჩნია. ეროვნული იდენტობა ეს პიროვნების იდენტობაა, ერისადმი მიკუთვნებულობის გრძნობა, რასაც ის მოქალაქეობრივი სტატუსის მიუხედავად სხვა ადამიანებთან ერთად იზიარებს.

ქართული ეროვნული იდენტობის, ცნობიერების ხასიათის ჩამოყალიბება ქრისტიანულ იდეოლოგიას ეფუძნება. ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებაში იდეოლოგიასთან ერთად დიდ როლს თამაშობს გეოგრაფიული გარემოც. სწორედ ის

განაპირობებს დასახლების ტიპებ, სამეურნეო საქმიანობას, გარე სამყაროსთაბ ურთიერთობას და ა.შ., რომელთა ზეგავლენით იქმნება ეროვნული ხასიათი. ტერმინი „ქართველი“ ქრისტიანულ ეპოქაში წარმოიქმნა. ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარე სამყაროსთან ურთიერთობები, როდესაც გამოიკვეთება ამა თუ იმ ერისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. არ მოიძებნება ხალხი, რომელთა იდენტობა იმდენ ხალხთან ურთიერთობაში ჩამოყალიბებულიყოს, როგორც ჩვენი. ქართველ ერზე ზეგავლენა მოახდინეს ელინებმა, ბიზანტიელებმა, ირანულმა კულტურამ, ურარტუელებმა და ა.შ. თუმცა, ჩვენთვის განსაკუთრებული ნიშანი ის არის, რომ მექანიკურად არც ერთი ხალხისაგან არ გადმოგვიღია ის თვისებები, რომლებიც ჩვენს თვითმყოფადობას დააზიანებდა. ამას ვახერხებდით, უპირველეს ყოვლისა, ქრისტიანობით და სწორედ ამიტომ, ვიყავით და ვართ ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებული ერი. ასე თანდათანობით ყალიბდებოდა ჩვენი ეროვნული იდენტობა.

ჩვენი ერის უპირველესი თვისება სამშობლოსათვის თავგანწირვა იყო, მაგრამ სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდეგ დავკარგეთ პასუხისმგებლობაც.

თუ როგორი იყო ჩვენი ეროვნული იდენტობა, რით განვსხვავდებოდით სხვა ერებისაგან კარგად აქვს აღწერილი XXII საუკუნის კათალიკოსს ნიკოლოზ გულაბერიძეს, როდესაც ის ბერძნებსა და ქართველებს ერთმანეთს ადარებდა. კათალიკოსი ამბობდა, რომ „ქართველები წრფელი და მართალი ხალხია, რომელთაც მხოლოდ საკუთარი მკლავისა და ღმერთის იმედი აქვთ, მათ სხვა არვინ ეხმარება“. ეს მიდგომა ახლაც ასეთი უნდა იყოს, თანამოაზრენი უნდა ვეძებოთ, მაგრამ მათი შემყურენი არ უნდა ვიყოთ. პოლიტიკა ის საქმეა, სადაც ქვეყნის ინტერესების გამო გამართლებულია ყველაფერი, სიცოცხლეც კი. რა არის დღეს ჩვენი ქვეყნის ინტერესი? ტერიტორიების დაბრუნება და მასთან ერთად ეროვნული იდენტობის შენარჩუნება. ჩვენ არ უნდა შევწყვიტოთ ჩვენი ინტერესების დაცვა. სამწუხაროდ, ქართველებმა რუსეთის იმპერიის ზეწოლით გადაუხვიეს იმ გზიდან, რომელზეც მათი იდენტობა შენარჩუნებული იყო და შეიძინეს თვისებები, რომლებიც არ იყო ტრადიციულ ზნე-ჩვეულებებთან კავშირში. რითაც დაზიანდა ჩვენი ეთნოფსიქოლოგია და იდენტობა.

ქართველი ერი გონიერია, ჩვენ ისტორიამ გამოგვაწრთო. ქართველობა მხოლოდ გვარი და სახელი როდია. დიდი ქართველი პატრიოტი რეზო თაბუკაშვილი ამბობდა: „პატრიოტობა პროფესია არ არის, მაგრამ პროფესიონალიზმი პატრიოტობაა“-ო. საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონ ბონაპარტე აცხადებდა, გეოგრაფია ბედისწერააო. ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობა სასჯელიც არის ჩვენთვის და უპირატესობაც. ჩვენ ვცხოვრობთ ევროპა-აზიის დამაკავშირებელ ხიდზე. ჩვენი ქვეყანა მუდამ იპყრობდა დიდი იმპერიებისა და სახელმწიფოების ყურადღებას ეს ყურადღება და ცნობადობა ახლა ბევრად ძლიერია ვიდრე ოდესმე იყო. უნდა გვახსოვდეს, რომ მეგობარი სახელმწიფოს ცნება პირობითია, ყველას საკუთარი ინტერესი აქვს. ეს ერთგვარად სასარგებლოც არის, რადგან შეგვიძლია მათი დაინტერესება ჩვენდა სასარგებლოდ გამოვიყენოთ და ეს უნდა გავაკეთოთ ძალიან გონივრულად, პრაგმატულად, ცივი გონებით. არჩევანი არა მისი ინტერესების, არამედ ქართული ეროვნული სახელმწიფოს სასარგებლოდ უნდა გაკეთდეს.

ნაციონალიზმის კვლევების ერთ-ერთი დამფუძნებელი ენტონი დუგლას სმითი ნაშრომში “ეროვნული იდენტობა” აყალიბებს ეროვნული იდენტობის კლასიკურ განსაზღვრებას: ადამიანთა ერთობა, რომელიც იზიარებს ისტორიულ ტერიტორიას, საერთო მითებს და ისტორიულ მეხსიერებას, სახალხო კულტურას, საერთო ეკონომიკასა და საერთო უფლება-მოვალეობებს მისი თითოეული წევრისთვის. სმითი ეროვნულ იდენტობას მრავალგანზომილებიანად მიიჩნევს და ხუთ ფუნდამენტურ მახასიათებელს გამოჰყოფს: ისტორიული ტერიტორია, ანუ სამშობლო, საერთო მითები, ისტორიული მეხსიერება, საერთო საზოგადოებრივი მასკულტურა, საერთო სამართლებრივი უფლება-მოვალეობანი.

ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში გადამწყვეტი როლი ენიჭება სარწმუნოებას. ქვეყნისათვის, რომელსაც გამუდმებით ესხმოდნენ თავს და რომელიც გარშემორტყმული იყო განსხვავებული რელიგიის მატარებელი ქვეყნებით, იდენტობისა და სარწმუნოების მჭიდრო კავშირი გასაკვირი როდია. დიდი ილია აღნიშნავდა: “ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ნიშნავს მთელი საქართველოს მიწა-წყალს, ქართველობას...” აკაკი კი მტრის წინააღმდეგ ქართველთა გამარჯვებას შემდეგნაირად ხსნის: „რას გახდება მომხდური ხალხთან, რომელთაც რწმენა და ეროვნება ერთმანეთზე გადაუბამს”. მიგვაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლება უნდა შეეცადოს უფრო მკაფიო პოლიტიკა ჩამოაყალიბოს დიასპორებთან ურთიერთობაში. მნიშვნელოვანია ყველა დიასპორულ ორგანიზაციასთან, სათვისტომოსთან, სახელოვნებო ჯგუფებთან, ქართველოლოგიურ ცენტრებთან ინტენსიური საკომუნიკაციო სისტემის აწყობა, მათი შემდგომი გაძლიერება. ასევე, სასურველია თანამშრომლობა უცხოეთში წარმო- ქმნილ სამრევლოებთან, სხვა ტიპის გაერთიანებთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბოგიშვილი დ., ქართული ეროვნული იდენტობა: „კონფლიქტი და ინტეგრაცია“ - კვლევის ანგარიში „კავკასიის შვეიცარული აკადემიური ქსელი“, თბ., 2016;

2. გავაშელიშვილი თ., ლადარია ე., სულხანიშვილი კ., კეკელია ი., მართლმადიდებლური ეკლესიის როლი ქართული ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბებაში, თბ., 2013 ილიას სახ. უნ. გამომცემლობა;

3. გამსახურდია ვლ., ქართველთა ეთნიკური იდენტობის, ასპექტებისა და სტრუქტურის კვლევა მოდერნულ კონტექსტში, თბ., 2016;

4. გოგიშვილი დ., ოსეფაშვილი ი., გავაშელიშვილი ე., გუგუშვილი ნ., ქართული ეროვნული იდენტობა: კონფლიქტი და ინტეგრაცია, თბ., 2016, გამომცემლობა „ნეკერი“;

5. პაპელიშვილი ა., ეროვნული იდენტობა და კონსერვატიული მსოფლმხედველობის წარმოშობა საქართველოში, თბ., 2015, ილ. სახ. უნ. გამომცემლობა.

6. ხუჭუა მ., ქართული ეროვნული იდენტობა და გლობალიზმი: წინააღმდეგობა თუ თანხვედრა? თბ., 2013;

7. Werbner, P. andModood, T. (eds), Debating Cultural Hybridity. London: ZedBooks. Globalization and Cultural Identity/P. Werbner and T. Modood, 1997. p. 271-273.

8. Tomlinson J. _Globalization and Culture. University of Chicago Press, 15 junep. 277 / J. Tomlinson, 1999.